კვლევის ძირითადი მიზნები:

- საქართველოს საჯარო დაწესებულებების გამჭვირვალობის ხარისხის ამაღლება;
- ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ხელშეწყობა;
- საქართველოში ინფორმაციის თავისუფლებასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ცვლილებების ინიცირება;
- საქართველოში ელექტრონული მმართველობისა და ელექტრონული გამჭვირვალობის განვითარება.

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს ოფიციალური ვებ-გვერდის (https://seragency.gov.ge) საინფორმაციო გამჭვირვალობისა და ელექტრონული მმართველობის შეფასებითი მონიტორინგი

2011 წლის 07 ნოემბერი

ყველა უფლება დაცულია

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

ა. მაჭავარიანის ქ. №4, ბინა1. 0179. საქართველო, თბილისი.

Tel: +995322 996364.

www.idfi.ge / www.opendata.ge

info@idfi.ge

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო
https://seragency.gov.ge

გამოვლენილი ძირითადი ხარვეზები და რეკომენდაციები




ინფორმაციის არსებობა ვებ-გვერდზე
წარმოდგენილი ინფორმაციის ხარისხი
1. ზოგადი ინფორმაცია საჯარო დაწესებულების შესახებ
47,62%
70,25%
2. საჯარო დაწესებულების სისტემა/სტრუქტურა
0,00%
0,00%
3. მონაცემები საჯარო დაწესებულების საინფორმაციო რესურსების შესახებ
60,00%
45,00%
4. ძირითადი კომპეტენციის სფეროში საჯარო დაწესებულების საქმიანობის შესახებ ცნობები
28,57%
23,38%
5. სამართლებრივი აქტები და საჯარო დაწესებულების ნორმაშემოქმედებითი საქმიანობა
22,73%
24,20%
6. საჯარო დაწესებულების საქმიანობის წესი, რომელიც მიზნად ისახავს ფიზიკურ და იურიდიულ პირთა უფლებების, თავისუფლებებისა და კანონიერი ინტერესების უზრუნველყოფას
19,23%
59,50%
7. ს-დ საქმიანობის ფარგლებში მიმდინარე სახელმწიფო შესყიდვების, სახელმწიფო ქონების პრივატიზების, ხელშეკრულებების გაფორმების შესახებ ცნობები
40,00%
23,50%
8. საჯარო დაწესებულების საკადრო უზრუნველყოფა
0,00%
0,00%
9. საჯარო დაწესებულების დაფინანსება და ხარჯთაღრიცხვა (ბიუჯეტი)
0,00%
0,00%
0,00%
20,00%
40,00%
60,00%
80,00%

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს ვებ-გვერდზე არ მოიძიება:

- **ზოგადი ინფორმაცია საჯარო დაწესებულების შესახებ**

1. ვებ-გვერდზე არ არის მოცემული არანაირი ინფორმაცია სააგენტოს ხელმძღვანელობის შესახებ, კერძოდ:

- არ მოიძიება სააგენტოს გენერალური დირექტორის სახელი და გვარი, ფოტოსურათი, ვრცელი ბიოგრაფიული მონაცემები, კომპეტენციის აღწერა. აგრეთვე, არ მოიძიება დირექტორის არანაირი საკონტაქტო რეკვიზიტი - სამუშაო ელ.ფოსტა, მისაღების (თანაშემწის) ტელეფონისა და ფაქსის ნომრები;

- არ მოიძიება სააგენტოს გენერალური დირექტორის მოადგილეების სახელები და გვარები, ფოტოსურათები, ვრცელი ბიოგრაფიული მონაცემები, კომპეტენციისა და საკურატორო სფეროების აღწერა. აგრეთვე, არ მოიძიება მოადგილეების არანაირი საკონტაქტო რეკვიზიტები - სამუშაო ელ.ფოსტები, მისაღებების (თანაშემწეების) ტელეფონისა და ფაქსის ნომრები.

სასურველია, ვებ-გვერდზე შეიქმნას ცალკეული (ქვე-)განყოფილებები - „სააგენტოს დირექტორი“ და „მოადგილეები“, სადაც განთავსდებოდა სააგენტოს ხელმძღვანელობის შესახებ ყველა სახის ზემოთ აღნიშნული ინფორმაცია.

ამასთან, სააგენტოს მოქმედი დებულების თანახმად, სააგენტოს გენერალური დირექტორი იმავდროულად არის ფინანსთა სამინისტროს მოადგილე, სასურველია ხსენებულთან დაკავშირებით გაკეთდეს აღნიშვნა შესაქმნელ (ქვე-)განყოფილებაში „ სააგენტოს დირექტორი“.

2. არ მოიძიება ვებ-გვერდის ოფიციალურობის დამადასტურებელი წერილობითი აღნიშვნა და სააგენტოს საფოსტო მისამართი (საფოსტო ინდექსზე მითითება).

ამასთან, მართალია ვებ-გვერდზე მოცემულია სააგენტოს შენობის მდებარეობის აღმნიშვნელი რუკა, თუმცა ეს უკანასკნელი ბუნდოვანია, რაც სირთულეს ქმნის მომხმარებლისათვის აღნიშნული ინფორმაციის აღქმის მხრივ:

3. არ მოიძიება სააგენტოს სრული სარეკვიზიტო ცნობარი (სტრუქტურული ქვედანაყოფების სატელეფონო ცნობარი, ელ. ფოსტები და ფაქსის ნომრები), აგრეთვე, არ მოიძიება სააგენტოს მიერ ფიზიკური და იურიდიული პირების მიღების და მათთან მუშაობის გრაფიკი.

4. ვებ-გვერდზე მოცემულია სააგენტოს საკონტაქტო ტელეფონის ნომერი, თუმცა სასურველია აქვე მითითებულიც იყოს, რომ მოცემული ნომერი წარმოადგენს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ტელეფონის ნომერს:



5. ვებ-გვერდზე არ არის მოცემული სააგენტოს დაფუძნების თარიღიდან მოყოლებული დეტალური საქმიანობის ისტორია. ვებ -გვერდზე არ არსებობს შესაბამისი (ქვე-)განყოფილება, სათაურად „ისტორია“, სადაც განთავსდებოდა შესაბამისი ინფორმაცია.

6. ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში, სათაურად „ჩვენს შესახებ“ არსებულ ქვე-განყოფილებაში „საქმიანობა“ არასრულად არის წარმოდგენილი სააგენტოს ფუნქციების შესახებ ინფორმაცია, სასურველია, აღნიშნულ ქვე-განყოფილებაში განთავსდეს სააგენტოს მოქმედი დებულების თანახმად განსაზღვრული სააგენტოს მიზნების, ფუნქციების და ძირითადი მიმართულებების სრული აღწერა:

- **საჯარო დაწესებულების სისტემა/სტრუქტურა**

7. ვებ-გვერდზე არ მოიძიება სააგენტოს სტრუქტურის შესახებ შემდეგი სახის ინფორმაცია, კერძოდ:

- არ მოიძიება სააგენტოს (სტრუქტურული ხე) ან ინფორმაციული აღწერა;
- არ მოიძიება სტრუქტურული ქვედანაყოფების ჩამონათვალი;
- არ მოიძიება სტრუქტურული ქვედანაყოფების ძირითადი ფუნქციების აღწერა;
- არ მოიძიება სტრუქტურული ქვედანაყოფების ხელმძღვანელების სახელები და გვარები, ფოტოსურათები, ვრცელი ბიოგრაფიული მონაცემები, კომპეტენციის აღწერა და აგრეთვე მათი საკონტაქტო რეკვიზიტები: სამუშაო ელ.ფოსტები, მისაღების (თანაშემწეების) ტელეფონისა და ფაქსის ნომრები;
- არ მოძიება სტრუქტურული ქვედანაყოფების ელექტრონული ფოსტის მისამართები და საკონტაქტო ტელეფონის ნომრები.

ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში სათაურად „ჩვენს შესახებ“ არსებული ქვე-განყოფილება „სტრუქტურა“ ცარიელია:



- **მონაცემები საჯარო დაწესებულების საინფორმაციო რესურსების შესახებ**

8. ვებ-გვერდზე არ არის მოცემული შემდეგი სახის მნიშვნელოვანი მონაცემთა ბაზები: არ არსებობს ვაკანსიათა და ტენდერების არქივი (არ არსებობს შესაბამისი (ქვე)-განყოფილებები), საერთაშორისო და ადმინისტრაციული ხელშეკრულებები, სააგენტოს საქმიანობის ამსახველი წლიური ანგარიშები, სტატისტიკური მონაცემები, გეგმები და პროგნოზები, ფინანსური ხასიათის მაჩვენებლები (მათ შორის ადმინისტრაციული სამსახურის მიერ მომზადებული წლიური ხარჯთაღრიცხვები) *და ა.შ.*

არ მოიძიება აგრეთვე, სახელმწიფო საკუთრებაში მიქცეული ქონების განკარგვის სააგენტოს მიერ წარმოებული ქონების სპეციალური რეესტრი.

ამასთან, ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში სათაურად „გაყიდვები“ არსებულ ქვე-განყოფილებაში „აუქციონი“ განთავსებული ბმულის „მიმდინარე აუქციონების სია“ სამართავი პანელი არ მუშაობს:



ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში სათაურად „ჩვენს შესახებ“ არსებულ ქვე-განყოფილებაში „საკანონმდებლო ბაზა“ განთავსებული სამი სამართლებრივი აქტის ბმული არ იხსნება:

- **ძირითადი კომპეტენციის სფეროში საჯარო დაწესებულების საქმიანობის შესახებ ცნობები**

9. ვებ-გვერდზე არ მოიძიება სააგენტოს გენერალური დირექტორის მოადგილეების საქმიანობის ამსახველი საინფორმაციო ხასიათის ცნობები, კერძოდ, არ მოძიება:

- მოადგილეების გამოსვლების, განცხადებების, ბრიფინგების ტექსტები;
- მოადგილეთა ოფიციალური/სამუშაო ვიზიტების შესახებ ცნობები;
- ცნობები მოადგილეთა მონაწილეობის შესახებ ამა თუ იმ ღონისძიებაში.

ამასთან, მოცემულ განყოფილებაში მოყვანილი საინფორმაციო ხასიათის უკანასკნელი ცნობები სააგენტოს საქმიანობის შესახებ თარიღდება 2010 წლის დეკემბრის თვით, რაც საშუალებას არ აძლევს მომხმარებელს გაეცნოს სააგენტოს საქმიანობის შესახებ 2010 წლის დეკემბრის თვის შემდეგ განხორციელებული საქმიანობის შესახებ საინფორმაციო ხასიათის ცნობებს:



10. ვებ-გვერდზე არ არსებობს (ქვე-)განყოფილება „წლიური ანგარიშები“, სადაც განთავსდებოდა სააგენტოს საქმიანობის ყოველწლიური ანგარიში და მიმდინარე კვარტალური მოხსენებები/ანგარიშები.

11. ვებ-გვერდზე არ არსებობს (ქვე-)განყოფილება „სტატისტიკა“, სადაც განთავსდებოდა სააგენტოს მიერ შეგროვებული და დამუშავებული ოფიციალური სტატისტიკური ინფორმაცია და მონაცემები იმ ძირითადი მაჩვენებლების შესახებ, რომლებიც ასახავენ სააგენტოს საქმიანობის ძირითად სფეროებში არსებულ სიტუაციასა და მათ განვითარების დინამიკას.

12. ვებ-გვერდზე არ არსებობს (ქვე-)განყოფილება „პროექტები/პროგრამები“, სადაც მოყვანილი იქნებოდა იმ პროექტების/პროგრამების ჩამონათვალი და მათ შესრულების შესახებ (წლიური) მოხსენებები, რომელთა დამკვეთს, შემსრულებელს ან რეალიზაციაში რაიმე სახით მონაწილე მხარეს წარმოადგენს სააგენტო. აგრეთვე, ცნობები იმ პროექტების/პროგრამების ფარგლებში მიმდინარე ღონისძიებების შესახებ, რომელთა რეალიზაციაში მონაწილე მხარეს წარმოადგენს სააგენტო.

13. სასურველია, ვებ-გვერდზე არსებობდეს (ქვე-)განყოფილებები ,,საერთაშორისო პარტნიორობა“ და „პარტნიორობა საქართველოს ორგანიზაციებთან“, სადაც მოყვანილი იქნება პარტნიორობის შესაბამისი ტექსტური ინფორმაციული აღწერა და სააგენტოს პარტნიორ ორგანიზაციათა ვებ-გვერდების ბმულები.

- **სამართლებრივი აქტები და საჯარო დაწესებულების ნორმაშემოქმედებითი საქმიანობა**

14. ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში, სათაურად „ჩვენს შესახებ“ არსებულ ქვე-განყოფილებაში „საკანონმდებლო ბაზა“ განთავსებული თითქმის ყველა სამართლებრივი აქტი მოცემულია ძველი მდგომარეობით, მათ შორის სააგენტოს დებულება:

მოცემულ ქვე-განყოფილებაში სასურველია, განთავსდეს აგრეთვე, სააგენტოს საქმიანობის (მმართველობის) სფეროსთან დაკავშირებული საქართველოს მთავრობის სამართლებრივი აქტები და სამართლებრივი აქტების პროექტები; აგრეთვე, სააგენტოს გენერალური დირექტორის მიერ გამოცემული ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები, გენერალური დირექტორის მიერ დამტკიცებული სააგენტოში სტაჟირების გავლის წესი, სააგენტოში კონკურსისა და ატესტაციის ჩატარების წესი, აგრეთვე, სააგენტოს საშტატო განრიგი და ხელფასის ფონდი; იურიდიული სამსახურის მიერ მომზადებული მკაცრი აღრიცხვის ფორმების მარეგულირებელი სამართლებრივი აქტების პროექტები, დირექტორის მიერ განსაზღვრული პირველი მოადგილისა და მოადგილეების ფუნქციების განმსაზღვრელი აქტები. ამასთან, შემდეგი სამართლებრივი აქტები - სააგენტოს დებულება და შინაგანაწესი (რომელიც, არ მოიძიება) სასურველია, განთავსდეს ცალკეულ ქვე-განყოფილებებში.აღნიშნულ განყოფილებაში აგრეთვე უნდა მოიძიებოდეს შემდეგი სამართლებრივი აქტებიც

- საქართველოს კონსტიტუცია;
- საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი;
- საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი;
- საქართველოს სამოქალაქო კოდექსი;
- საქართველოს საგადასახადო კოდექსი;
- საქართველოს კანონი „ნორმატიული აქტების შესახებ;

- საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი;
- საქართველოს კანონი „სააღსრულებლო წარმოებათა შესახებ“;
- საქართველოს კანონი „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ;
- საქართველოს კანონი „სახელმწიფო ქონების შესახებ“;
- საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ“;
- საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“
- საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 11 თებერვლის N75 ბრძანებულება „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს შექმნის შესახებ“;
- საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები.

- **საჯარო დაწესებულების საქმიანობის წესი, რომელიც მიზნად ისახავს ფიზიკურ და იურიდიულ პირთა უფლებების, თავისუფლებებისა და კანონიერი ინტერესების უზრუნველყოფას**

16. ვებ-გვერდზე არ მოიძიება ფიზიკურ და იურიდიულ პირთა მიმართვათა მიმოხილვა.

17. ვებ-გვერდზე არ არსებობს საჯარო ინფორმაციასთან დაკავშირებული განცალკევებული განყოფილება. არ მოიძიება საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი საჯარო მოსამსახურის ვინაობის (სახელი და გვარი), თანამდებობისა და საკონტაქტო რეკვიზიტების შესახებ ინფორმაცია, საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებათა გასაჩივრების შესახებ ცნობები და სააგენტოში შესული საჯარო ინფორმაციის გაცემასა და გაცემის მოთხოვნაზე უარის თქმის თაობაზე მიღებულ გადაწყვეტილებათა რაოდენობის შესახებ ინფორმაცია. აგრეთვე, ვებ-გვერდზე არ არის წარმოდგენილი ადმინისტრაციული საჩივრისა და საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის ჩამოსატვირთი ფორმები/ნიმუშები. *(პროექტ **„საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზის“ ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი"**, ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოსათვის მიმართული ოფიციალური წერილით მოთხოვნილ იქნა 2011 წლის მეორე კვარტალში (აპრილი-მაისი-ივნისი) გამოცემული იმ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ჩამონათვალი, რომელბიც მოიცავენ საჯრო ინფორმაციის მოთხოვნის დაკმაყოფილებისა ან მასზე უარის თქმის თაოაბზე მიღებულ გადაწყვეტილებების შესახებ ინფორმაცია, რომელიც მოწოდებულ იქნა, რაც შესაძლებელს ხდის სააგენტოს მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზეც განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ ბმულზე:*

http://www.opendata.ge/pdf_files/finansta.momsaxureba_sajaroinfo.pdf).

18. ვებ-გვერდზე არ მოიძიება სააგენტოს იმ თანამდებობის პირთა სახელები და გვარები, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან საღრიხვო და მარეგისტრირებელ ქმედებათა განხორციელებაზე, აგრეთვე ზემოთხსენებულ პირთა საკონტაქტო რეკვიზიტები (ტელეფონის ნომრები, ელ. ფოსტები).

- **საჯარო დაწესებულების საქმიანობის ფარგლებში მიმდინარე სახელმწიფო შესყიდვების, სახელმწიფო ქონების პრივატიზების, ხელშეკრულებების გაფორმების შესახებ ცნობები**

19. ვებ-გვერდზე არ მოიძიება ადმინისტრაციულ ხელშეკრულებათა ბლოკი/განყოფილება, სადაც მოყვანილი იქნებოდა სააგენტოსა და ფიზიკურ/იურიდიულ პირებს შორის, აგრეთვე, სააგენტოსა და სხვა საჯარო დაწესებულებას შორის გაფორმებულ ადმინისტრაციულ (სამოქალაქო/სამართლებრივ) ხელშეკრულებათა (მათ შორის სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულებები) ჩამონათვალი და პირობები.

20. ვებ-გვერდზე არ არსებობს (ქვე-)განყოფილება, სათაურად „ტენდერები“, სადაც განთავსდება სააგენტოს მიერ განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვებისა (გამოცხადებული ტენდერები, კონკურსები და სხვა სახის სახელმწიფო შესყიდვები) და განხორციელებული სახელმწიფო ქონების პრივატიზების (ელექტრონული/საჯარო აუქციონების, პირდაპირი მიყიდვის, სხვა გზით) ამომწურავი ჩამონათვალი (სია) და ასევე, სააგენტოს მიერ განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვებისა და სახელმწიფო ქონების პრივატიზების (ელექტრონული/საჯარო აუქციონების, პირდაპირი მიყიდვის, სხვა გზით) შესახებ ინფორმაცია. ხსენებული ცნობები მოიძება მხოლოდ ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში სათაურად „სიახლე“ განთავსებულ საინფორმაციო ხასიათის მიმოხილვებში:



*(პროექტ **„საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზის“** ფარგლებში, რომელსაც **ახორციელებს „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“**, ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოსათვის მიმართული ოფიციალური წერილით მოთხოვნილ იქნა 2011 წლის მეორე კვარტალში (აპრილი-მაისი-ივნისი) (გამოცხადებული ტენდერები,*

კონკურსები და სხვა სახის სახელმწიფო შესყიდვები) და განხორციელებული სახელმწიფო ქონების პრივატიზების (ელექტრონული/საჯარო აუქციონების, პირდაპირი მიყიდვის, სხვა გზით) ამომწურავი ჩამონათვალი (სია) და თითოეულ მათგანზე გახარჯული თანხის ოდენობა, რომელიც მოწოდებულ იქნა, რაც შესაძლებელს ხდის სააგენტოს მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზეც განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ გმულზე: http://www.opendata.ge/pdf_files/fin.momsaxureba_shesyidvebi.pdf

აგრეთვე, მოთხოვნილ იქნა 2011 წლის პირველ კვარტალში (სამი თვე) განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვებისა (გამოცხადებული ტენდერები, კონკურსები და სხვა სახის სახელმწიფო შესყიდვები) და განხორციელებული სახელმწიფო ქონების პრივატიზების (ელექტრონული/საჯარო აუქციონების, პირდაპირი მიყიდვის, სხვა გზით) ამომწურავი ჩამონათვალი (სია), რომელიც მოწოდებულ იქნა, რაც შესაძლებელს ხდის სააგენტოს მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზეც განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ გმულზე: http://www.opendata.ge/pdf_files/shesyidvebi_fin.momsaxurebis.pdf).

სატენდერო განცხადებები წარმოდგენილია მხოლოდ ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში სათაურად „სიახლეების არქივი“:

- **საჯარო დაწესებულების საკადრო უზრუნველყოფა**

21. ვებ-გვერდზე არ არსებობს განყოფილება, სათაურად „ვაკანსიები“, სადაც განთავსდებოდა ვაკანსიათა არქივი, ვაკანტურ თანამდებობაზე მისაღები კანდიდატისათვის წაყენებული საკვალიფიკაციო მოთხოვნების ჩამონათვალი (სათანადო ცოდნა და გამოცდილება, ძირითადი უნარ-ჩვევები), აგრეთვე, საჯარო თანამდებობათა დასაკავებელი კონკურსის შედეგები (სააგენტოს მიერ კანდიდატთა პერსონალური მონაცემების ვებ-გვერდზე განთავსების საფუძვლებზე (თანხმობის მიღება) მითითებით, საჯარო თანამდებობათა დასაკავებელი კონკურსის პროცედურებისა და შედეგებთან დაკავშირებული პრეტენზიების წაყენების, მათი ადმინისტრაციული წარმოების გზით გასაჩივრების წესის აღწერა და ა.შ.

- **საჯარო დაწესებულების დაფინანსება და ხარჯთაღრიცხვა (ბიუჯეტი)**

22. ვებ-გვერდზე არ არის წარმოდგენილი სააგენტოს საქმიანობასთან დაკავშირებული ფინანსური ხასიათის არანაირი ინფორმაცია:

- არ მოიძიება სააგენტოსათვის გამოყოფილი სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული 2010 წლამდე არსებული ასიგნებების შესახებ ინფორმაცია;

- არ მოიძიება სააგენტოს ბიუჯეტში 2010 წლამდე ასახული შემოსავლებისა და გასავლების / ბიუჯეტის შესრულების ბალანსისა და ბიუჯეტის ასიგნებების ხარჯვის შესახებ ზოგადი ინფორმაცია;

- არ მოიძიება საჯარო სამსახურებრივი უფლებამოსილების განმახორციელებელი თანამდებობის პირთა ჩამონათვალი და საშტატო ერთეულზე გათვალისწინებული ფინანსური განაკვეთების შესახებ ინფორმაცია;

- არ მოიძიება სააგენტოს სრული სისტემის თანამშრომლებზე გაცემული ხელფასების, დანამატების და დარიცხული პრემიების წლიური ოდენობების შესახებ ინფორმაცია; *(პროექტ **„საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზის“** ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს **„ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი"**, ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოსათვის მიმართული ოფიციალური წერილით მოთხოვნილ იქნა საჯარო სამსახურებრივი უფლებამოსილების განმახორციელებელ თანამდებობის პირებზე და სრული სისტემის (ყველა სტრუქტურული ერთეული, ტერიტორიული და სხვა სისტემაში შემავალი ორგანო თუ დანაყოფი) თანამშრომლებზე 2011 წლის მეორე კვარტალში (აპრილი-მაისი-ივნისი) გაცემული ხელფასების, დანამატებისა (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და პრემიების საერთო კვარტალური ოდენობების შესახებ ინფორმაცია (კონკრეტულ პირთა ვინაობაზე მითითების გარეშე), რომელიც მოწოდებულ იქნა, რაც შესაძლებელს ხდის სააგენტოს მიერ ამ ინფორმაციის ვებ-*

გვერდზეც განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ ბმულზე: *http://www.opendata.ge/pdf_files/finansta.momsaxureba_xelfasebi.pdf*

აგრეთვე, მოთხოვნილ იქნა 2011 წლის პირველ კვარტალში (სამი თვე), ადმინისტრაციისა და სრული სისტემის თანამშრომლებზე გაცემული ხელფასებისა და პრემიების საერთო კვარტალური ოდენობების შესახებ ინფორმაცია (კონკრეტულ *პირთა ვინაობაზე მითითების გარეშე),* რომელიც, ასევე, *მოწოდებულ იქნა, რაც შესაძლებელს ხდის სააგენტოს მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზეც განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ ბმულზე:* *http://www.opendata.ge/pdf_files/finanstamomsaxurebis_xelfasebi.pdf);*

- არ მოიძიება სააგენტოს შესაბამისი სამართლებრივი აქტის საფუძველზე ან/და საკუთარი ინიციატივით განხორციელებული იმ პროექტებისა და პროგრამების (სოციალური, მიზნობრივი, კვლევითი, სამეცნიერო, საგანმანათლებლო, ამა თუ იმ სფეროს განვითარებაზე მიმართული და მისთ.) სავარაუდო და ფაქტობრივი ხარჯთაღრიცხვა, რომელთა დამკვეთს, შემსრულებელს ან რეალიზაციაში რაიმე სახით მონაწილე მხარეს წარმოადგენს სააგენტო;

- არ მოიძიება უცხო სახელმწიფოთა მთავრობების, საერთაშორისო ორგანიზაციების, სხვა დონის სახელმწიფო ერთეულების მიერ სააგენტოსათვის გამოყოფილი ფინანსური დახმარების (გრანტები) ხარჯთაღრიცხვა.

შეფასება ვებ-გვერდის ელექტრონული კომპონენტის მიხედვით:




ვებ-გვერდის ელ-მმართველობის ხარისხი
ტექნიკური პარამეტრის არსებობა ვებ-გვერდზე
1. ნავიგაცია
77,78%
2. ძიება
60,00%
3. მარტივად აღქმის კრიტერიუმები
52,94%
4. საკონტაქტო ფორმები და წესები
25,00%
5. ვებ-კონტენტის ხელმისაწვდომობა
46,67%
6. ადაპტაცია მობილურ კავშირგაბმულობასთან WAP
0,00%
7. სინტაქსურად გამართული პროგრამული კოდი
63,16%
8. ინტეგრაცია სოციალურ ქსელებთან
0,00%
9. ელექტრონული ჩართულობა
0,00%
10. ელექტრონული სერვისები
9,09%
11. უნარშეზღუდული მომხმარებლებისთვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობა
0,00%
12. უსაფრთხოება
66,67%
13. დამატებითი მნიშვნელოვანი პარამეტრები
58,33%
0
0,2
0,4
0,6
0,8

- **ნავიგაცია**

ვებ-გვერდის ნავიგაციის, ქვე კატეგორიების მუქი შავი ფონი საკმაოდ „უხეშად“ ჩანს:



ნავიგაციის ღილაკებში არ არის არც მთავარი გვერდი და არც კონტაქტი, ეს არის სტანდარტული კატეგორიები, რომლებიც ყველა ვებ-გვერდის მენიუში უნდა იყოს სტანდარტულად განლაგებული:



- **ძიება**

ვებ-გვერდს აქვს კალენდარი, თუმცა იგი უფუნქციოა ან სიახლეები არ არის ატვირთული, რადგან გასული 3 თვის განმავლობაში, ვერც ერთი სიახლე ვერ მოიძებნა კალენდრის მეშვეობით:



- **ვებ-კონტენტის ხელმისაწვდომობა**

ვებ-გვერდის ზოგიერთი კატეგორია ცარიელია. მსგავს ცარიელ კატეგორიებში აუცილებლად უნდა ეწეროს შესაბამისი შეტყობინება, მაგალითად ინფორმაცია/გვერდი მზადების პროცესშია:



ვებ-გვერდზე არსებობს სიახლეები, ყველა სიახლეს აქვს ღილაკი „ვრცლად“, რომელიც არის ბმული და მასზე დაჭერით შევდივართ სიახლის სრულად სანახავად. თუმცა, გარდა ამ ბმულისა ყველა სიახლეს უნდა ჰქონდეს ალტერნატიული ბმულები (სიახლის სათაური, სიახლის სურათი), რათა მომხმარებელმა ინფორმაციის სრულად ნახვა შეძლოს უფრო მარტივად.



- **სინტაქსურად გამართული პროგრამული კოდი**

ვებ-გვერდის ზოგიერთ გვერდზე (მაგ: https://seragency.gov.ge/index.php?pg=sc&id_mn=32) არ იტვირთება სურათები:



- **ელ.ჩართულობა**

ვებ-გვერდზე არის „სკაიპის“ ბანერი, რის საშუალებითაც მომხმარებელი სკაიპში შეიძლება დაუკავშირდეს მომსახურების სააგენტოს. თუმცა , სასურველის ამ პროცედურის გამარტივება, შესაძლებელია, რომ ბანერი იყოს წარმოდგენილი ბმულის სახით რომელიც ავტომატურად გახსნის სკაიპს და დააკავშირებს მომხმარებელს მომსახურების სააგენტოსთან:



- **უსაფრთხოება**

HTTPS დაცული პროტოკოლის სერთიფიკატი არ არის მოწესრიგებული, რის გამოც ბრაუზერი მომხმარებელს აფრთხილებს, რომ ვებ-გვერდი შეიძლება სახიფათო მათთვის.

ვებ-გვერდს სჭირდება ლიცენზირებული სერთიფიკატი:



- **დამატებითი პარამეტრები**

ინფორმაციის ამოსაბეჭდ ვერსიას სასურველია, რომ თანდართული ჰქონდეს საჯარო დაწესებულების სიმბოლიკა და სრული დასახელება:



ვებ-გვერდის ზოგადი შეფასება

ვებ-გვერდი სავარაუდოდ მზადების პროცესშია, რადგან ზოგიერთი მოდული არ ფუნქციონირებს, ზოგიერთი კი დასახვეწია. ვებ-გვერდი არ არის ინტეგრირებული სოციალურ ქსელებთან, ასევე აკლია ისეთი ონლაინ სერვისები, როგორიც არის სიალეების გამოწერა, მკაცრი აღრიცხვის ფორმების ვებ-გვერდზე შევსების/გაგზავნის მოდული, ელ.გადახდების საშუალება, შეტყობინებების გამოწერის (მათ შორის მობილურ ტელეფონზე) სერვისი და სხვა. ზოგადად ვებ-გვერდზე ჯერ კიდევ ბევრი სამუშაოა ჩასატარებელი, რათა მან მიიღოს დასრულებული სახე და დააკმაყოფილოს მომხმარებელთა მოთხოვნები.